



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 დეკემბერი, 2014 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები- საქართველო
3. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
4. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
5. კავშირი „ეკოტექი“ - ნუგზარ სულამანიძე
6. გიორგი მუხიგაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
7. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
9. ლევან ფავლენიშვილი - საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია

განსახილველი საკითხები:

- ❖ მომპოვებელი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის შექმნის შესახებ

- ❖ მიმდინარე საკითხები
- ❖ დისკუსია
- ❖ შეჯამება/დასკვნა

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი მიესალმა ჯგუფის წევრებს და გააცნო შეხვედრაზე განსახილველი საკითხები.

საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია მომპოვებელი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის შესახებ (**Extractive Industries Transparency Initiative, EITI**). 2002 წელს მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე დიდი ბრიტანეთის პრემიერის ტონი ბლერის მიერ მოხდა EITI-ის ინიცირება. იგი წარმოადგენს გლობალურ სტანდარტს, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს შემოსავლების გამჭვირვალობას. დღემდე ინიციატივას მიუერთდა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი 48 ქვეყანა. EITI-ს ძირითადი პრინციპი არის ბუნებრივი რესურსების მოპოვებიდან მიღებული შემოსავლების გასაჯაროება. კერძოდ: კომპანიები-გამოაქვეყნე რასაც იხდი (Publish What You Pay) და მთავრობა ასაჯაროებს ინფორმაციას კომპანიებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა ამდღეს ქვეყნის რეპუტაციასა და იმიჯს და ამავედროულად ხელს უწყობს რესურსებიდან მიღებული შემოსავლების უფრო ეფექტურ მართვას, სახელმწიფო სახსრების მართვის სფეროში გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესებას, აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს ამ სფეროში.

მომპოვებელი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის კოალიციაში ჩართულია რამდენიმე მხარე: მთავრობები, კომპანიები, ინვესტორები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და პარტნიორი ორგანიზაციები.

თანაკოორდინატორმა ისაუბრა აღნიშნული კოალიციის შეხვედრებზე საქართველოს ჩართულობის აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი.

საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის წარმომადგენელმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია არსებული გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა.

თანაკოორდინატორმა ისაუბრა მთავრობასთან მემორანდუმის გაფორმების აუცილებლობაზე. ჯგუფის წევრების საერთო შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ მომავალი წლის პრიორიტეტული საკითხი უნდა გახდეს ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა.

გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა

მემორანდუმის გაფორმების საკითხის იდეას და წამოაყენა ინიციატივა, რომ ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტის გარდა ასევე შეიმუშავოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რათა ეფექტურად წარმართოს სამუშაო პროცესი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია